ბათუმი და აჭარა ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობაში

სულხან კუპრაშვილი
ისტორიის დოქტორი,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,
ქუთაისი, საქართველო
გოდერძი ვაჭრიძე
ისტორიის დოქტორი,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი,
ქუთაისი, საქართველო

აბსტრაქტი

წარმოდგენილი ნაშრომი მიზნად ისახავს შესწავლილი და გაანალიზებული იქნას ქუთაისის გუბერნიის არსებობის პერიოდში როგორ მიმდინარეობდა ბათუმსა და ზოგადად აჭარის რეგიონში რუსეთის იმპერიის სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური დამკვიდრების პროცესი, რა სიძნელეები ხვდებოდა საიმპერიო ხელისუფლებას აღნიშნული პოლიტიკის გატარების საქმეში. 1883 წლიდან ხელახლა აღდგენილ ქუთაისის საგენერალ-გუბერნატოროს შემადგენლობაში საიმპერიო ხელისუფლებამ შეიყვანა ბათუმის ოლქი, რომელიც ბათუმის და ართვინის ოკრუგებად დაიყო და სოხუმის განყოფილება, რომელიც ოკრუგად გადაკეთდა. შემოღებული იქნა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის თანაშემწის თანამდებობა, რომლის რეზიდენცია ბათუმში იყო. 1903 წელს ქუთაისის გუბერნიას გამოეყო ბათუმის, ართვინის და სოხუმის ოკრუგები. ბათუმის და ართვინის ოკრუგები გაერთიანდა და შეიქმნა ბათუმის ოლქი, რომელსაც მართავდა სამხედრო გუბერნატორი. ბათუმის ოლქში რუსეთის საიმპერიო ხელისუფლების კოლონიური პოლიტიკის ძირითადი

მიმართულებების შესახებ უმნიშვნელოვანეს ცნობებს გვაწვდის ქუთაისის გუბერნატორის ანგარიშები და გუბერნიის ყოველწლიური მიმოხილვები, რომლებიც მდიდარ ფაქტობრივ მასალას შეიცავენ დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ახალი ისტორიის შესასწავლად.

ნაშრომში ქუთაისის სახელმწიფო არქივში დაცული დოკუმენტების, მე-19 საუკუნის რუსი ისტორიკოსებისა და შესაბამისი ქართულენოვანი ლიტერატურის საფუძველზე ნაჩვენებია, რომ ქუთაისის გუბერნატორის ანგარიშები და გუბერნიის მიმოხილვები საშუალებას გვაძლევენ თვალი გავადევნოთ, როგორ მიმდინარეობდა რეგიონში რუსეთის სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური დამკვიდრების პროცესი, რა სიძნელეები ხვდებოდა საიმპერიო ხელისუფლებას, აღმოსავლეთ საქართველოსთან შედარებით მხარის რუსიფიკაციის პოლიტიკის გატარების საქმეში.

საძიებო სიტყვები: ქუთაისის გუბერნია; ბათუმის ოლქი; გუბერნატორის ანგარიშები; გუბერნიის მიმოხილვები.

შესავალი

რუსეთის კოლონიურ პოლიტიკას დაპყრობილი ქვეყნების მიმართ საერთო ნიშნები ჰქონდა და მძლავრი იმპერიის შექმნას ისახავდა მიზნად. ბუნებრივია, ასეთ პოლიტიკას ატარებდა რუსეთის იმპერია დასავლეთ საქართველოშიც, რომლის კოლონიზაციაც XIX საუკუნის დასაწყისიდან დაიწყო და 1877 - 1878 წლების რუსეთ - თურქეთის ომის შემდეგ გადამწყვეტ ფაზაში შეიყვანა სამხრეთ - დასავლეთ საქართველოს დაკავების შემდეგ. იმის გამო, რომ აღნიშნულ რეგიონს განვითარების საერთო დონის მიუხედავად, ბუნებრივ-გეოგრაფიული, ისტორიულ-ეთნოგრაფიული, სამეურნეო-ეკონომიკური და სხვა სახის თავისებურებები ჰქონდა, მათი გაუთვალისწინებლობა დამატებით სირთულეებს უქმნიდა რუსეთის ადგილობრივ მმართველობას. ცენტრალური მთავრობა იძულებული იყო, თავისი კოლონიური პოლიტიკა ცალკეული რეგიონებისათვის მოერგო და ამით უზრუნველყო მისი განუხრელი გატარება.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ამ პოლიტიკის რეგიონალური ნიშნით შესწავლა განსაკუთრებით აქტუალურია. ეს საშუალებას მოგვცემს უფრო ღრმად ჩავწვდეთ დასავლეთ საქართველოში, კონკრეტულ შემთხვევაში ბათუმის ოლქში რუსეთის იმპერიის კოლონიური პოლიტიკის მძარცველურ, დამპყრობლურ არსს და ხასიათს.

მეთოდი

სტატიაზე მუშაობისას კვლევა წარიმართა შემდეგი მეთოდოლოგიით: საარქივო მასალების შესწავლა, კვლევა და ანალიზი; ისტორიულ მოვლენათა აღწერა - ანალიზი; შედარებითი კვლევის მეთოდოლოგია; შეფასებითი კვლევის მეთოდოლოგია.

შედეგი

მე - 19 საუკუნის დასაწყისიდან, მას შემდეგ, რაც რუსეთის იმპერია იწყებს დამკვიდრებას საქართველოში, აქტიურად მიმდინარეობდა რუსული მმართველობის სისტემის დანენერგვა. პარალელურად ხდებოდა ახლად დაპყრობილი ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული პრიორიტეტების შესწავლა. ამ საქმეს ემსახურებოდა სხვადასხვა საცნობარო ხასიათის გამოცემების შექმნა. ამგვარი ტიპის გამოცემებს წარმოადგენენ „ქუთაისის გუბერნატორის ანგარიშები“ და „ქუთაისის გუბერნიის მიმოხილვები“, რომლებიც მიუხედავად გარკვეული ტენდენციურობისა მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენენ მთლიანად დასავლეთ საქართველოს მე-19 საუკუნის ბოლო მეოთხედისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის ისტორიის შესასწავლად.

დისკუსია

1840 წელს ამიერკავკასიაში გატარდა ადმინისტრაციული რეფორმა, რომლის მიზანი იყო სრული რუსული მმართველობის შემოღება და მისგან ადგილობრივი მოსახლეობის მთლიანად ჩამოცილება. დროებითი და შერეული რუსული მმართველობები, რომლებიც სამხედრო - საოკუპაციო რეჟიმს განახორციელებდა, ერთიანი სამოქალაქო მმართველობით შეიცვალა. 1840 წლის 10 აპრილის კანონის მიხედვით, რომელსაც სენატორ განის პროექტი დაედო საფუძვლად, შეიქმნა საქართველო-იმერეთის გუბერნია, რომელიც მაზრებად იყოფოდა (Эсадзе, 1907: 67-73). გუბერნიის შემადგენლობაში შედიოდა ქუთაისის მაზრა, რომ-

ლის მთავარი ქალაქი ქუთაისი იყო. ამგვარად, ქუთაისის მაზრა იმერეთის ყოფილი სამეფოს მთელ ტერიტორიას მოიცავდა. თვით მაზრის შიდა ადმინისტრაციულ დაყოფაში არსებითი ცვლილებები არ მომხდარა. იმერეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ, იმერეთის ოლქად ქცეულ ტერიტორიაზე შექმნილი ოკრუგები უბნებად იწოდებოდა.

მმართველობის აღნიშნული სისტემა უვარგისობის გამო მალე გაუქმდა. იმპერატორ ნიკოლოზ I-ის 1844 წლის 27 ნოემბრის ბრძანებით, შეიქმნა კავკასიის სამეფისნაცვლო და მეფისნაცვლად დაინიშნა გრაფი მიხეილ ვორონცოვი (Эсадзе, 1907:83). მეფისნაცვლის ინიციატივით, 1846 წლის 14 დეკემბერს კავკასიაში მორიგი ადმინისტრაციული რეფორმა გატარდა. ამიერკავკასია გაიყო 4 გუბერნიად და საქართველომ შეადგინა ორი - თბილისის და ქუთაისის გუბერნიები (Эсадзе, 1907: 86). ქუთაისის გუბერნია ადმინისტრაციული თუ ტერიტორიული ცვლილებებით 1846 წლის 10 დეკემბრიდან 1921 წლის 10 აპრილამდე არსებობდა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს რესპუბლიკის გუბერნიებად დაყოფა გაუქმდა 1919 წლის 30 იანვრის კანონის საფუძველზე (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, 1990: 225), ქვეყნის გუბერნიებად დაყოფა პრაქტიკულად ძალაში დარჩა 1921 წლამდე.

ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობაში შევიდა ყოფილი საქართველო-იმერეთის გუბერნიის სამი მაზრა: ქუთაისის, გურიის და ახალციხის. ამასთან ადრინდელი ქუთაისის მაზრა გაიყო სამად: ქუთაისის, რაჭის და შორაპნის მაზრებად. გურიის მაზრას ეწოდა ოზურგეთის მაზრა, ხოლო ახალციხის მაზრაში შევიდა ამ უკანასკნელის მხოლოდ ორი - ხერთვისის და აბასთუმნის უბანი. ამგვარად, ქუთაისის გუბერნია დაყოფილი იყო შემდეგ მაზრებად: 1. ქუთაისის მაზრა, ცენტრი ქუთაისი; 2. შორაპნის მაზრა, ცენტრი საქარა; 3. რაჭის მაზრა, ცენტრი ონი; 4. ოზურგეთის მაზრა, ცენტრი დაბა ოზურგეთი და 5. ახალციხის მაზრა, ცენტრი ქალაქი ახალციხე. ქუთაისის გუბერნიასთან მითვლილი იყო ასევე სამეგრელოს, საბატონო სვანეთის სამფლობელოები და სამურზაყანოს საბოქაულო (Лаврентьев, 1858: 215-220).

1847 წელს ქუთაისის გუბერნიას შეუერთეს თავისუფალი (უბატონო) სვანეთის ათი საზოგადოება და შეიქმნა პატარა იფარის საბოქაულო, ხოლო დარჩენილმა ორმა - ლატალის და ლენჯერის საზოგადოებებმა რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღეს 1853 წელს.

1848 წელს სამურზაყანოს საბოქაულო უშუალოდ დაექვემდებარა ქუთაისის გუბერნატორს. 1849 წელს ახალციხის მაზრას შეუერთდა ახალქალაქის უბანი, რომელიც მანამდე თბილისის გუბერნიის ალექსანდროპოლის მაზრაში შედიოდა.

ყირიმის ომის დროს (1853-1856 წწ.) დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე თავმოყრილი იყო რუსეთის ჯარების დიდი რაოდენობა და საომარი ოპერაციები მიმდინარეობდა, რამაც გამოიწვია ქუთაისის გუბერნიის სამოქალაქო და სამხედრო ხელისუფლების გაერთიანების აუცილებლობა. ახლო აღმოსავლეთის მიმართ რუსეთის დაპყრობითი გეგმების მიხედვით, დასავლეთ საქართველო სამხედრო-სტრატეგიული პლაცდარმი უნდა გამხდარიყო. კავკასიის მეფისნაცვლის თავად ა. ბარიატინსკის წარდგენის საფუძველზე, 1857 წელს იმპერატორ ალექსანდრე II-ის ბრძანებით, შეიქმნა ქუთაისის საგენერალ-გუბერნატორო. მასში შევიდა ახალი ტერიტორიები - აფხაზეთის სამფლობელო და წებელდის საბოქაულო.

ქუთაისის საგენერალ-გუბერნატოროს ტერიტორია ორად იყო გაყოფილი: პირველი შეადგენდა საკუთრივ ქუთაისის გუბერნიას ხუთი მაზრით. მის მართვა-გამგეობას, რუსული კანონმდებლობის საფუძველზე, განახორციელებდა სამოქალაქო ნაწილის სამხედრო გუბერნატორი, რომელიც გენერალ-გუბერნატორს ემორჩილებოდა. მეორე - სამეგრელოს, აფხაზეთის, თავისუფალი და საბატონო სვანეთის სამთავროებს, სამურზაყანოს და წებელდის საბოქაულოებს. ეს მიწები, სადაც ნომინალურად ჯერ კიდევ არსებობდა ადგილობრივი მმართველობა, გენერალ-გუბერნატორს ემორჩილებოდნენ. გარდა ამისა, მის დაქვემდებარებაში იყო საპორტო ქალაქები: რედუტ-კალე და სუხუმ-კალე. გენერალ-გუბერნატორი ითვლებოდა ამ მხარეში განლაგებული სახმელეთო და საზღვაო ძალების სარდლად.

1864 წელს აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის მიხეილ შერვაშიძის სამშობლოდან გადასახლების შემდეგ, შეიქმნა სოხუმის განსაკუთრებული ოკრუგი, რომელიც ოთხ უბნად გაიყო და ქუთაისის საგენერალ-გუბერნატოროში შემოვიდა (Маевский, 1856: 66; Эсадзе, 1907: 96-164). 1866 წელს სამურზაყანოს და წებელდის მიწებისგან შეიქმნა სოხუმის განსაკუთრებული სამხედრო განყოფილება.

1867 წელს ქუთაისის საგენერალ-გუბერნატორო გაუქმდა და გუბერნიას მართავდა სამხედრო გუბერნატორი. გუბერნიის შემადგენლობაში შევიდა სამეგრელოს გაუქმებული სამთავროს ტერიტორია, რომელიც დაიყო სენაკის, ზუგდიდის და ლეჩხუმის მაზრებად. ქუთაისის გუბერნიას გამოეყო და თბილისის გუბერნიის დაქვემდებარებაში გადავიდა ახალციხის მაზრა.

1874 წელს გაუქმდა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის თანამდებობა და გუბერნიის მართვა რუსეთის შიდა გუბერნიების მართვის საერთო წესს დაემორჩილა.

1878 წელს შეიქმნა ბათუმის ოლქი, რომელიც გაიყო ბათუმის, ართვინის და აჭარის ოკრუგებად და უშუალოდ მეფისნაცვალს დაექვემდებარა.

1883 წელს ქუთაისის საგენერალ-გუბერნატორო აღდგენილი იქნა და მის შემადგენლობაში შემოვიდა ბათუმის ოლქი, რომელიც ბათუმის და ართვინის ოკრუგებად დაიყო და სოხუმის განყოფილება, რომელიც ოკრუგად გადაკეთდა. შემოღებული იქნა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის თანაშემწის თანამდებობა, რომლის რეზიდენცია ბათუმში იყო.

1903 წელს ქუთაისის გუბერნიას გამოეყო ბათუმის, ართვინის და სოხუმის ოკრუგები. ბათუმის და ართვინის ოკრუგები გაერთიანდა და შეიქმნა ბათუმის ოლქი, რომელსაც მართავდა სამხედრო გუბერნატორი (Свод законов Российской Империи, 1876: 85; გურული, 2018: 394-397).

ქუთაისის გუბერნატორის ანგარიშები და გუბერნიის ყოველწლიური მიმოხილვები მდიდარ ფაქტობრივ მასალას შეიცავენ დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ახალი ისტორიის შესასწავლად. ისინი საშუალებას გვაძლევენ თვალი გავადევნოთ, როგორ მიმდინარეობდა რეგიონში რუსეთის სამხე-

დრო, პოლიტიკური და ეკონომიკური დამკვიდრების პროცესი, რა სიძნელეები ხვდებოდა საიმპერიო ხელისუფლებას, აღმოსავლეთ საქართველოსთან შედარებით, მხარის რუსიფიკაციის პოლიტიკის გატარების საქმეში. გუბერნატორები თავიანთ ანგარიშებში ხაზგასმით აღნიშნავენ „რუსული ელემენტის“, რუსების ისტორიულ მისიაზე - გუბერნიის ადგილობრივი მოსახლეობა გამოიყვანონ საუკუნებრივი ჩამორჩენილობიდან. ქუთაისის სამოქალაქო გუბერნატორის ა. ოგოლინის აზრით, მხარის რუსეთის ცენტრთან სრულ შერწყმას ხელს სწორედ ის გარემოება უშლის, რომ გუბერნიაში ძალზე მცირეა „რუსული ელემენტი“ და გუბერნატორი პირობას დებს იმპერატორის წინაშე, რომ შეეცდება ეს ნაკლი გამოასწოროს (ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფ. 130: 7). 1892 წელს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი წერდა: „ყველაზე მცირერიცხოვანი დასახლებები არის ბათუმის ოკრუგში. თუ საშუალოდ გუბერნიაში ერთ დასახლებაზე მოდის 87 კომლი, ბათუმის ოკრუგში ეს ციფრი შესაბამისად შეადგენს 28 კომლს. სულ არის ორი რუსული დასახლება: ერთი ჩურუქ-სუში (ქობულეთთან) და მეორე ხოლოდნაია სლობოდა ბათუმის ახლოს“ (გურული, 2018: 396). რაც შეეხება ადგილობრივ მოსახლეობას, გუბერნატორი თვლიდა, რომ „ტუზემცები“ არც ზნეობრივად და არც გონებრივად ჯერ კიდევ არ იყვნენ მზად მონაწილეობა მიეღოთ მხარის მართვაში (ქუთაისის ცენტრალურ სახელმწიფო არქივი, ფ. 130:45).

გუბერნატორები გაზვიადებულად წარმოადგენდნენ მათი საქმიანობის შედეგებს, მიუთითებდნენ მდგომარეობის მკვეთრ გაუმჯობესებაზე და მალავდნენ ქვეყნის შიგნით არსებულ ნამდვილ ვითარებას. ამის გამო, გუბერნატორების ანგარიშებში დაცული ფაქტობრივი მასალა კრიტიკულად უნდა იქნას შესწავლილი. გუბერნატორი წლიურ ანგარიშს ადგენდა დადგენილი სტანდარტის მიხედვით, ანგარიში საფუძვლად ედო გუბერნიის მიმოხილვასაც. ამგვარად, „ანგარიშში“ და „გუბერნიის მიმოხილვებშიც“ ფაქტობრივად ერთი და იგივე მონაცემები იყო შეტანილი.

გავეცნოთ რა ინფორმაციას შეიცავს ქუთაისის გუბერნიის შესახებ 1894 წლის „მიმოხილვა“.

„მიმოხილვის“ მიხედვით, სახელმწიფო ქონების ქუთაისის საგუბერნიო სამმართველოს გამგებლობაში 1.108.055 დესეტინა მიწა იყო, 283.954 დესეტინით მეტი, ვიდრე გასულ წელს, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ სამმართველოს გადაეცა მანამდე სამხედრო-სახალხო მმართველობის განკარგულებაში მყოფი მიწები. სახელმწიფო ქონების სამმართველოს გამგებლობაში მყოფი მიწები ასე ნაწილდებოდა, ფართობი მოცემულია დესეტინებში: ქუთაისის მაზრა - 68.375, შორაპნის მაზრა - 28.927, ლეჩხუმის მაზრა - 111.100, ოზურგეთის მაზრა - 67.199, სენაკის მაზრა - 5.659, ზუგდიდის მაზრა - 6.934, სოხუმის ოკრუგი - 365.461, ბათუმის ოკრუგი - 159.600 და ართვინის ოკრუგი - 191.500 (Обзор, 1894: 4). 1894 წელს სახელმწიფო ქონებისგან მიღებული იქნა 62.164 მანეთის შემოსავალი.

გუბერნიის სხვადასხვა რეგიონში კლიმატის და ბუნებრივი პირობების მიხედვით, მოყავთ: ხორბალი, ქერი, სიმინდი. მსხვილი მეურნეობები და ფერმები არ იყო. გუბერნიისათვის დამახასიათებელი იყო მცირემიწიანობა და მიწის ნაკვეთების დაქსაქსულობა, არ ხდებოდა მიწის განაყოფიერება და ხელოვნური მორწყვა. XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან ქუთაისის გუბერნიაში გავრცელება დაიწყო თამბაქოს კულტურამ. პირველ რიგში, თამბაქოს პლანტაციები გაჩნდა სოხუმის, ბათუმის და ართვინის ოკრუგებში. ამ რეგიონებში მოყვანილი თამბაქო წარმატებით უწევდა კონკურენციას თურქულ თამბაქოს. გარდა სამრეწველო პლანტაციებისა, გუბერნიაში იყო 10.634 წვრილი სასოფლო-სამეურნეო პლანტაცია. „მიმოხილვაში“ საინტერესო მონაცემებია ჩაის კულტურის გავრცელების შესახებ, კონკრეტულად ბათუმის ოლქში. აქ ჩაის გავრცელების პიონერი იყო გადამდგარი ინჟინერი, პოლკოვნიკი ალექსანდრე სოლოვცევი, რომელმაც 1886 წელს ხანკოუდან გამოიწერა და ბათუმის მახლობლად დარგო ჩაის ბუჩქები. 1894 წელს ადგილობრივი ადმინისტრაციის თანდასწრებით დაიწყო ჩაის პირველი კრეფა. ა. სოლოვცევს გარდა, ჩაის პლანტაციების გაშენება დაიწყო კონსტანტინე პოპოვმა, რომელსაც ჩაი გაშენებული ჰქონდა 200 დესეტინაზე ჩაქვში, კაპრეშუმსა და სალიბაურში. ა. პოპოვმა იმოგზაურა ჩინეთში,

ჩამოიყვანა სპეციალისტები და წარმატებით შეუდგა ჩაის წარმოებას.

„მიმოხილვის“ მიხედვით, გუბერნიაში იყო 7.031 ფაბრიკა და ქარხანა, მაგრამ „ფაბრიკას“ და „ქარხანაში“ იგულისხმება, მაგალითად სპირტის სახდელი პრიმიტიული წარმოება, სხვადასხვა სახის აგურის, კირის, ღვინის მცირე მოცულობის წარმოებები, წისქვილები და სხვ. ამ „ფაბრიკა-ქარხნების“ მოცულობა ნათელი გახდება, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ 7.031 ფაბრიკასა და ქარხანაში დასაქმებული იყო 8.607 მუშა და მათი გამოშვებული პროდუქციის ღირებულება 23.948.990 მანეთს არ აღემატებოდა. ამ თანხის დიდი ნაწილი ბათუმის საწარმოებში დამზადებულ ნავთის საექსპორტო ტარაზე მოდიოდა.

„მიმოხილვაში“ კარგად არის წარმოდგენილი გუბერნიის როგორც საშინაო, ასევე საგარეო ვაჭრობა. ქუთაისის გუბერნიას, თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, განსაკუთრებით ამიერკავკასიის რკინიგზის გაყვანის შემდეგ, აღმოსავლეთის ქვეყნებთან რუსეთის სატრანზიტო ვაჭრობაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ბათუმი და ფოთი უცხოეთის და რუსეთის საქონლის გატანის და შემოტანის ძირითადი პუნქტები გახდნენ. ბათუმის მთავარ სასაწყობო საბაჟოდან 1894 წელს შემოტანილი იქნა 4.174.279 ფუთი საქონელი, რომლის ღირებულება 3.072.826 მანეთი იყო, ხოლო გატანილი იქნა 51.341.329 ფუთი საქონელი (სიმინდი, ხის მორები, აბრეშუმის ნაწარმი, მარგანეცი და სხვ.) 19.440.357 მანეთის ღირებულებით.

რაც შეეხება სხვა ხარჯებს:

სახაზინო და საზოგადოებრივი შენობები - 1894 წელს ქუთაისის გუბერნიის სამმართველოს სამშენებლო განყობილებამ ბათუმში შეაკეთა სამხედრო გუბერნატორის თანაშემწის ბინა, რაც 788 მანეთი დაჯდა.

გზები - გუბერნიის სამმართველოს სამშენებლო განყობილებამ გზების და ხიდების კეთილმოწყობაზე 167.362 მანეთი დახარჯა: შეკეთდა ბათუმ-არდაგანის გზის მდ. ჭოროხზე ართვინთან ხიდისკენ მიმავალი მონაკვეთი, შეკეთდა ნაქერალადან ტყიბულისკენ მიმავალი გზა, სოხუმ - ზუგდიდის გზაზე, მდ. მერკულზე აიგო ერთი ხის ხიდი, ნაქერალას გადასასვლელზე სამი

ხიდი, დაიწყო ლაჯანურის გზის გაფართოება და დამუშავდა ბათუმსა და ოზურგეთს შორის გზის პროექტი.

პორტები - გრძელდებოდა ბათუმის და ფოთის პორტების კეთილმოწყობა. სახელმწიფო საბჭომ ასიგნაციის სახით, ბათუმ-ისთვის 750.000 მანეთი გამოყო. აღსანიშნავია, რომ ბათუმისაგან განსხვავებით ფოთს ახალი დაფინანსება არ მიუღია.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

გურული, ვ. (2018). *„საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918)“*. წიგნი II. თბილისი.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, 1918-1992. (1990). თბილისი.

ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი. ფონდი N 130.

Лаврентиев, В. (1858). *Статистическое описание Кутаисского генерал-губернаторства.* СПБ.

Маевский, В. (1856). *Кутаисская губерния, военно-статистическое описание.* Тифлис.

Обзор Кутаисской губернии на 1894. (1893). Кутаиси.

Кавказский календарь на 1895 год. (1894). СПБ.

Свод законов Российской Империи. (1876). СПБ.

Эсадзе, С. (1907). *Историческая записка об управлению Кавказа.* т I. Тифлис.

References

Guruli, V. (2018). *„Sakartvelos Axali Istoria (1801-1918)“ [The New History of Georgia (1801-1918)"].* Ts'igni II. Tbilisi.

Sakartvelos Demok'rat'iuli Resp'ublik'is Samartlebrivi Akt'ebis K'rebuli, 1918-1992. [Collection of Legal Acts of the Democratic Republic of Georgia, 1918-1992]. (1990). Tbilisi.

Kutaisis Tsent'raluri Sakhelmts'ifo Arkivi. Fondi N 130. *[Kutaisi Central State Archive].* Fonds N 130.

Lavrentiev, V. (1958). *Statisticheskoe Opisanie Kutaisskogo General-Gubernatorstva. [Statistical Description of the Kutaisi Governorate. St. Petersburg].* SPB.

Maevskij, V. (1856). *Kutaisskaya Guberniya, Voenno-Statisticheskoe Opisanie [The Kutaisi Governorate, Military-Statistical Description].* Tiflis.

Obzor Kutaisskoj Gubernii na 1894. (1893). *[Description of the Kutaisi Governorate 1894].* Kutaisi.

Kavkazskij Kalendar' na 1895 god. (1894). *[Kavkazsky Calendar 1895].* SPB.

Svod Zakonov Possijskoj Imperii. (1876). *[Collection of Laws of the Russian Empire].* SPB.

Jesadze, S. (1907). *Istorucheskaya Zapiska ob Uprableniyu Kavkaza.* T. I. *[Historical Entry of the Rule of the Caucasus].* Vol. I. Tiflis.

Batumi and Adjara as Part of the Kutaisi Governorate

Sulkhan Kuprashvili
Doctor of History,
Professor of Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia
Goderdzi Vatcridze
Doctor of History,
Associate Professor of Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia

Abstract

The aim of the present paper is to study and analyze the process of military, political and economic establishment of the Russian Empire in Batumi and the Adjara region in general during the existence of the Kutaisi Governorate (Guberniya), and the difficulties that the imperial government faced in pursuing this policy. The imperial government included the Batumi Oblast as part of the Kutaisi Governorate, which was restored in 1883, and divided it into the Batumi and Artvini Okrugs, and the Sukhumi district which was re-formed into the okrug. The position of an Assistant to the Military Governor of Kutaisi was created whose residence was in Batumi. In 1903, Batumi, Artvini and Sukhumi Okrugs were detached from the Kutaisi Governorate. The Batumi and Artvini Okrugs were united and re-formed into the Batumi Oblast which was governed by the Military Governor. The reports of the Governor of Kutaisi and the annual reviews of the Governorate provide the most important information about the main directions of the colonial policy of the Russian imperial government in the Batumi Oblast which contain rich factual material for the study of the new history of western and southwestern Georgia.

The paper shows that the reports of the Governor of Kutaisi and the reviews of the Governorate provide an insight into the process how Russia's military, political, and economic establishment in the region took place, and what difficulties the imperial government faced in

pursuing the policy of Russification of the region compared to eastern Georgia based on the documents preserved in the Kutaisi Central Archive, works by 19th-century Russian historians and relevant Georgian-language literature.

Keywords: the Kutaisi Governorate; the Batumi Oblast; Governor's reports; reviews of the Governorate.